გურამ აბესაძე

სან -ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება იაპონურ-ჩინური ურთიერთობების პრიზმაში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში სან-ფრანცისკოს 1951 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების ზეგავლენის მნიშვნელობის შესწავლას. განხილულია შემდეგი საკითხები: ტაივანის პრობლემა იაპონია-ჩინეთის ურთიერთობებში; სენკაკუს კუნძულები სან-ფრანცისკოს კონტექსტში; იაპონია ჩინეთის ,,შეკავების'' დოქტრინაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იაპონიიის ინტერესებში შედის იაპონურ-ამერიკული ალიანსის შენარჩუნება და იმავდროულად სტრატეგიული დიალოგის წამოწყება ჩინეთში, რაც ხელს შეუწყობს რეგიონული წესრიგის გარდაქმნას და გამყარებას.

საკვანძო სიტყვები: *სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში, ტაივანის პრობლემა, სენკაკუს კუნძულები, ჩინური კონტექსტი.*

სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების (1951)[1] იაპონურ-ჩინურ კონტექსტში წარმოჩენა შეუძლებელია მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინების გარეშე, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავდნენ იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს. 1940 წლიდან 1970 წლამდე საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში *რეალიზმი*[2] დომინირებდა, რომელიც ირეკლავდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებსა და ცივი ომის საერთაშორისო გამოცდილებას. მაგრამ *რეალიზმი*, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმა არ არის საკმარისი სან-ფრანცისკოს სამშვიდობო სისტემის იაპონურ-ჩინურ თანამედროვე რაკურსთა გასაანალიზებლად. ამიტომაც, შემლებისდაგვარად, მივმართავთ ისტორიულ რეტროსპექტივას, შიდაპოლიტიკური პროცესების ანალიზსა და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის პარადიგმული ცვლის პროცესის შედეგებს: რეალიზმიდან სტრუქტურულ რეალიზმამდე, ანუ ნეორეალიზმამდე (1970-1990), ნეორეალიზმიდან — ნეოკლასიკურ რეალიზმამდე., (1990-2023).

---

[1] ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იაპონიამ, ერთ მხრივ, და მეორე მხრივ: ავსტრალიამ, არგენტინამ, ბელგიამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, დიდმა ბრიტანეთმა, ვენესუელამ, ვიეტნამმა (ბაო-დაი), ჰაიტიმ, გვატემალამ, გონდურასმა, საბერძნეთმა, დომინიკელთა რესპუბლიკამ, ეგვიპტემ, ინდონეზიამ, ერაყმა, ირანმა, კამბოჯამ, კანადამ, კოლუმბიამ, კოსტა-რიკამ, კუბამ, ლაოსმა, ლიბერიამ, ლიბანმა, ლუქსემბურგმა, მექსიკამ, ჰოლანდიამ, ნიკარაგუამ, ახალმა ზელანდიამ, ნორვეგიამ, პაკისტანმა, პანამამ, პარაგვაიმ, პერუმ, სალვადორმა, საუდის არაბეთმა, სირიამ, აშშ-მა, თურქეთმა, ფილიპინებმა, საფრანგეთმა, ცეილონმა, ჩილემ, ურუგვაიმ, ეკვადორმა, ეთიოპიამ, სამხრეთ აფრიკის კავშირმა. იხ: Treaty of San Francisco 1951. ttps://rhgavmf.ru

[2] რეალიზმი ყველაზე ძველი ტერმინია საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც გამორიცხავს მორალისტურ, უტოპიურ მიდგომებს. პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ფესვები ისეთ ავტორებთან მიდის, როგორიცაა თუკიდიდე (400 წ. ძვ. წ-მდე), თომას ჰობსი (1588-1679) ან ნიკოლო მაკიაველი (1469-1527). თანამედროვე სამყაროში ამ სკოლის მამამთავრებად ითვლებიან ე. კარრა (1892-1982), ჯ. კენნანი (1904-2005), ჰ. მორგენთაუ (1904-1980), რ. ნიბური (1892-1971), კ. ტომპსონი (1943). პოლიტიკური რეალიზმის მიმდევარნი ცდილობენ მაქსიმალურად რეალისტურად აღწერონ საერთაშორისო ურთიერთობანი, და არა ის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ან იქნება მომავალში. რეალიზმი დასავლურ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმეტესი ქვეყნები ირიბად თუ პირდაპირ არიან აქტანტები სან-ფრანცისკოს სამშვიდობო პროცესის, რომელიც აგერ უკვე 70 წელზე მეტია არეგულირებს პოლიტიკურ ურთიერთობებს და ქმნის უსაფრთხოების სისტემას ამ რეგიონში. რა თქმა უნდა, არცერთ სამშვიდობო ხელშეკრულებას, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების პარადიგმის ცვლილების შემდეგ (*რეალიზმიდან, აქედან კი ნეოკლასიკურ რეალიზმამდე*) არ ძალუძს ყველაფრის გათვლა და გათვალისწინება გრძელვადიან პერსპექტივაში. მით უფრო მაშინ, როცა ერთ მხარეს არის ომში დამარცხებული და კაპიტულაცია გამოცხადებული იაპონია, ხოლო მეორე მხარეს, 48 ქვეყანა, რომელთა შორის ვერ ვხედავთ ჩინეთსა და ინდოეთს გასაგები მიზეზების გამო. სწორედ ამიტომაც ხშირად იქმნება კრიზისული სიტუაციები, რადგან ჩინეთი დღეს ზესახელმწიფოა, ხოლო ინდოეთი — რეგიონის უდიდესი სუვერენული ქვეყანა.

ტაივანი სან-ფრანცისკოს რეალისტური სისტემიდან ნეორეალიზის ეპოქაში

1951 წელს იაპონიამ ხელი მოაწერა სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებას. იაპონია ამ დროისათვის უკვე „მზად იყო ახალი როლის მოსარგებად“[3]. აშშ-მა არ მიიწვია კონფერენციაზე არც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები და არც გომინდანელები. მანამდე ამერიკულმა დიპლომატიამ მიაღწია იაპონიასთან შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ იაპონია სცნობდა ჩან- კაიშის 蒋介石 (1887-1975) რეჟიმს ტაივანზე, როგორც ჩინეთის კანონიერ მთავრობას და მასთან მოაწერდა ხელს სამშვიდობო ხელშეკრულებას.

სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად „იაპონია უარს აცხადებდა ყველა უფლებასა და სამართალმემკვიდრეობაზე კორეის, ფორმოზის და პესკადორის კუნძულების მიმართ, ასევე უარს ამბობდა ყველა უფლებასა და სამართალმემკვიდრეობაზე სამანდატო ტერიტორიებსა და ანტარქტიკაზე“[4]. სსრკ მხარს უჭერდა ტაივანის და პესკადორის კუნძულების დაბრუნებას ჩინეთისათვის.

იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელი სიგერუ იოშიდა 吉田茂 (1878-1967) ასეთ შეფასებას აძლევდა ამ დოკუმენტს: „ეს არ არის შურისგების დოკუმენტი, ეს გახლავთ მშვიდობისმყოფლობის ინსტრუმენტი“[5]. სიგერუ იოშიდა ცნობილი ანტიკომუნისტი გახლდათ, მისი 1951 წლის 24 დეკემბრის განცხადებით[6] ,,იაპონია შეძლებდა ჩინეთის ,,გამოყვანას'' კომუნისტური იდეოლოგიიდან, რადგან ჩინეთ-სსრკ-ის კავშირს მომავალი არ ჰქონდა''[7] და, აქედან გამომდინარე, ჩინეთის „შეკავების“ ამერიკული პოლიტიკა მიზანშეწონილობას დაკარგავდა. ამერიკელი მეცნიერის ჩალმერ ჯონსონის აზრით, იოშიდამ მხოლოდ ხელი მოაწერა იმ დოკუმენტს ტაივანის ცნობის შესახებ, რომელიც მას ჯონ ფოსტერ დალასმა წარუდგინა[8]. სამაგიეროდ იაპონია „გაათავისუფლეს“ რეპარაციების გადახდისაგან, რაც დადებითად შეფასდა იაპონიაში, მაგრამ სამომავლოდ საწინააღმდეგო ეფექტი გამოიწვია დაზარალებულ ქვეყნებში და უპირველესად ჩინეთში. სწორედ ომის შედეგები, მისი მემკვიდრეობა მძიმე ტვირთად აწევს იაპონია-ჩინეთის ორმხრივ ურთიერთობებს დღესაც და ძაბავს რეგიონში პოლიტიკურ კლიმატს.

ომის შემდეგდროინდელ წლებში ტოკიო მჭიდროდ თანამშრომლობდა ტაივანთან ეკონომიკის, კულტურის და ჰუმანიტარულ სფეროებში. 70-იან წლებში კი დადგა სრულიად სხვა ეპოქა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და აშშ-მა შეიცვალა დამოკიდებულება

---

[3] Дж. Л. Мак-Клейн, Япония от Сёгуната Токугавы - в XXI в век М., 2006, 767-768.

[4] Л.Н. Кутаков, Внешняя политика и дипломатия Японии. М., 1964, 240-241.

[5] იქვე.

[6] Yoshidas Letter to Dulles. Text of Letter from Prime Minister Shigeru Yoshida to Ambassador Jon Foster Dulles, dsted December24, 1951, relesad to press January, 16. 1952. Far Eastern Survey 1952, 21(4), 38-39.

[7] В.В. Нелидов. «Китайский шок Никсона» в зеркале японской внутренней политики//Вестник МГИМО-Университета, 2019.12(6), 64.

[8] იქვე.

ჩინეთის მიმართ. გაერომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღო თავის რიგებში, ხოლო იაპონიას, როგორც ამერიკის უახლოეს მოკავშირეს მოუწია „ნიქსონის ჩინური შოკის“ (1971) გადალახვა და შეძლებისდაგვარად მრავალვექტორიან საერთაშორისო ურთიერთობებზე გადაწყობა. პროჩინურად განწყობილი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები დაინტერესებული იყვნენ ჩინური ბაზრით და ჩინეთთან პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებით. იმ მომენტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა „გაგებით მოეკიდა“ იაპონიის პოლიტიკას ტაივანის მიმართ, რადგან აწყობდა, რომ იაპონიას დე-იურედ ჩინეთი ეცნო. გაცხოველებული დიალოგი ჩინეთსა და იაპონიას შორის მწვავე რეაქციას იწვევდა ტაიბეიში. ჩინეთმა ჯერ კიდევ წინასწარი მოლაპარაკებების დროს აგრძნობინა ტოკიოს, რომ პატივისცემით არ მოეკიდებოდა იაპონია-ტაივანის სამშვიდობო ხელშეკრულებას. ტაივანი თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც ხდებოდა ტოკიო-პეკინის ურთიერთობაში. ჯერ კიდევ 1963 წლის აგვისტოში ტაივანმა გაიწვია ელჩი ტოკიოდან, ხოლო მომდევნიო წელს კი მთელი საელჩოს შემადგენლობა. ტაივანმა ასევე უარი განაცხადა იაპონური საქონლის შემენაზე. ტაივანთან უთანხმოება ნამდვილად არ შედიოდა ტოკიოს გეგმებში. კუნძული ბუნებრივი ბარიერის როლს ასრულებდა იაპონიისათვის პეკინის ექსპანსიის შემთხვევაში. პრემიერ იოშიდას დიდი ძალისხმევით 1964 წელს პრობლემა მოგვარდა მისი ვიზიტის დროს ტაივანზე. იაპონიის ნაციონალური ინტერესები მოითხოვდა ტაივანზე ანტიკომუნისტური რეჟიმის შენარჩუნებას. მეორე მხრივ, იაპონია პირისპირ რჩებოდა მაო ძედუნის ჩინეთთან. ნიქსონის 1971 წლის ვიზიტი ჩინეთში ილუზიას აღარ უტოვებდა იაპონიას. მთავრდებოდა ჩინეთის „შეკავების ეპოქა“, რეალური პოლიტიკა იცვლებოდა ნეორეალიზმით, საჭირო იყო საგარეო პოლიტიკის შეცვლა. ჩინეთის მიერ მოლაპარაკებებზე წამოყენებული სამი პუნქტიდან ტოკიომ მხოლოდ ერთი გაიზიარა და ეს აისახა კიდევაც ტოკიო-პეკინის ერთობლივ კომუნიკეში. იაპონიამ არ მიიღო, ტაივანის, როგორც ჩინეთის განუყოფელი ნაწილის ამგვარი განმარტება. იაპონია-ტაივანის 1952 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების უკანონობაზე ჩინეთს ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს კომუნიკეში. ჩჟოუ ენლაი იძულებული იყო გაეზიარებინა ტოკიოს მიდგომა და დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ იაპონიასა და ტაივანს შორის ფორმალურად შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობანი. „თუ ჩინეთი შეიერთებდა ტაივანს, მას შეეძლო კუნძულზე საჰაერო ძალების ბაზა განეთავსებინა და მოეხდინა იაპონიის საზღვაო ძალების ბლოკირება მთელს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასთან, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთთან, ანუ ყველა იმ ქვეყანასთან საიდანაც იაპონიას ნავთობი შემოაქვს. შეიქმნებოდა ახალი რეალობა სენკაკუს კუნძულებთან მიმართებაში, რაც ტერიტორიული დავის საგანია ჩინეთთსა და იაპონიას შორის“[9]. დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ ურთიერთობა ტაივანსა და იაპონიას შორის ხორციელდებოდა ტაიბეის კულტურისა და ეკონომიკის წარმომადგენლობის მეშვეობით. ტოკიოს გარდა ორგანიზაციას აქვს თავისი წარმომადგენლობა ოსაკაში, ფუკოიაკასა და იოკაგამაში.

ტაიბეიში ტოკიოს ინტერესებს წარმოადგენს იაპონია-ტაივანის ურთიერთგაცვლის საზოგადოება, მაღალია საქმიანი ურთიერთობების ხარისხი, იაპონური ბიზნესი, ალბათ არ დაზარალდება, თუ ტაივანი სტატუსს შეიცვლის, რადგან რისკები დიდი ხანია გათვლილია და ფინანსური ნაკადის გადანაწილება არ იქნება დიდ სირთულეებთან დაკავშირებული. როგორც ჩანს, ტაივანის საკითხში გადამწყვეტი იქნება აშშ-ს პოზიცია და იაპონიას მოუწევს პარტნიორის როლით დაკმაყოფილება. ცნობილი რუსი იაპონისტის ა. ვ. სიომინის აზრით, იაპონიის პოზიცია ტაივანთან მიმართებაში თავიდანვე „არაგამჭვირვალე“ იყო. თავისი პოზიციის გასამყარებლად, იგი ეყრდნობა 1972 წლის კულისებსმიღმა მოლაპარაკების ფიგურანტის, პარტია კომეიტოს ცენრალური კომიტეტის მდივნის იესუკაცო ტაკეირის (竹入義勝) განცხადებას, რომელმაც ოცი წლის შემდეგ გაახმოვანა, რომ არსებობდა მოლაპარაკების საიდუმლო პუნქტი, რომელიც დოკუმენტის ტექსტში არ შესულა.[10] ოფიციალური ტოკიო დღემდე თავს არიდებს მკვეთრ და

[9] А.В. Семин, Японо-китайские отношения: состояние, проблемы и тенденции (конец XX- начало XXI века). М.,2008, 64.

[10] იქვე, 66.

ერთმნიშვნელოვან განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ცნობილი იაპონისტის გ. კუნაძის მტკიცებით, „მართალია, იაპონიამ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთთან, მაგრამ მას ერთმნიშვნელოვნად არ გამოუხატავს პოზიცია კუნძულზე ჩინეთის სუვერენიტეტის შესახებ. მიჩნეულია, რომ თითქოს იაპონიამ ერთმნიშვნელოვნად სცნო კუნძული ჩინეთის შემადგენელ ნაწილად. სინამდვილეში კი, მას მსგავსი არაფერი გაუკეთებია. მან მხოლოდ „გაგება და პატივისცემა“ გამოხატა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოზიციის გამო, რაც სრულებით არ ნიშნავს ცნობას. იაპონიის მიდგომა ამ საკითხისადმი განპირობებულია იმით, რომ სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების მიხედვით, იაპონიას *არა აქვს უფლება გამოხატოს თავისი პოზიცია კუნძულის სტატუსთან დაკავშირებით.* 1972 წელს ჩინელებმა თითქოს ვერ „შენიშნეს“ ამგვარი მიდგომის ორაზროვნება, მაგრამ არ შეუწყვეტიათ ეჭვიანობა იმის თაობაზე, რომ იაპონია ხელს უშლის მათ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაში.[11] ამერიკელების პოზიციამ ტაივანის მიმართ კი ნამდვილად განიცადა ტრანსფორმაცია. 1998 წელს ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ „აშშ არ დაუჭერს მხარს ტაივანის დამოუკიდებლობას, ასევე ნებისმიერ გადაწყვეტილებას ‘ორი ჩინეთის’ შექმნის შესახებ, ან ერთი ჩინეთის და ერთი ტაივანის, და მის მიღებას ისეთ ორგანიზაციაში, როგორიც გაეროა.“[12] იაპონიის პოლიტიკური წრეებისათვის, რომლებმაც ნიქსონის შოკი გადაიტანეს, ბილ კლინტონის განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა, ხოლო პეკინი, რომელსაც აღიზიანებს ის, რომ ტაივანში უყვართ იაპონია, ელოდება პოზიციების დათმობას ტოკიოსგან.

1998 წელს იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკებებზე უთანხმოება წარმოიშვა ტაივანის გამო. პერიოდულად პეკინი მწვავედ რეაგირებს მთელ რიგ ინციდენტებზე. 2001 წელს პეკინმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ტოკიომ ვიზა მისცა ტაივანის ყოფილ პრეზიდენტს ლი დენხუეის (李登辉). იაპონია არ არის მზად საკუთარი პოზიციების კორექტირება მოახდინოს, რაც რა თქმა უნდა, სიცივეს აჩენს ჩინეთთან ურთიერთობაში და აძლიერებს საპარლამენტთაშორისო კავშირებს ტაივანთან. 2001 წელს 40 იაპონელი პარლამენტარი ეწვია ტაივანს. შედეგად, შეიქმნა იაპონია-ტაივანის საპარლამენტაშორისო ჯგუფი, ხოლო ტაივანში გაძლიერდა მოძრაობა იაპონიასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მიზნით. 2005 წელს იაპონიამ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტი „საერთო სტრატერგიული მიზნები“[13], რომელშიც წერილობით დაფიქსირებულია, რომ „იაპონია აშშ-თან ერთად პასუხისმგებელია საერთო ინტერესების დაცვაზე კორეის ნახევარკუნძულსა და ტაივანთან მიმართებაში.“[14] ოფიციალურმა პეკინმა ეს არამეგობრულ ჟესტად ჩათვალა. 2005 წლის მარტში ჩინეთმა მიიღო კანონი სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ, თუ ტაივანი გამოაცხადებს დამოუკიდებლობას მატერიკისაგან. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა არ აწყობს აშშს-ს, არც იაპონიას, რადგან იწვევს კონფრონტაციას რეგიონის მოთამაშეთა შორის. აშშ-მ ტაივანს გადასცა ფლოტილია, რამაც კიდევ ერთხელ დაძაბა სიტუაცია. ნენსი პილოსის ვიზიტი კუნძულზე კი ჩინეთის მხრიდან აღიქმება, როგორც ჩარევა შინაურ საქმეებში. ასეა თუ ისე, სტატუს-კვოს დარღვევის შემთხვევაში სიტუაცია აღარ დაექვემდებარება კონტროლს.

სენკაკუს კუნძულები სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების კონტექსტში

სენკაკუს დაუსახლებელი კუნძულების ფართობი 6,3 კვ. კმ. ისინი განლაგებულია აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში და კუნძულ ოკინავადან 420 კმ.-ითაა დაშორებული. 420 კმ-ია სენკაკუდან ჩინურ პორტ ფუნჯოუმდე, ხოლო ტაივანიდან სენკაკუმდე - 190კმ. ჩინურ ქრონიკებში კუნძული მოიხსენება XVI საუკუნიდან. სიმონოსეკის 1895 წლის ხელშეკრულების მიხედვით, სენკაკუ ტაივანთან და პენხულიდაოს კუნძულებთან ერთად იაპონიის იურისდიქციაში მოხვდა და შევიდა ოკინავას პრეფექტურის შემადგენლობაში. იაპონიის

[11]Г.Ф. Кунадзе, Япония и Китай бремя: «особых отношений»//Японский калейдоскоп. М., 2006, 233.

[12] The Daily Yomiuri. 11.07.1998.

[13] Asia Times. 24.02.2005.

[14] იქვე.

განცხადებით, სენკაკუ არქიპელაგ რიუკიუს გაგრძელებაა, ამიტომაც იაპონია არ იღებს ჩინეთის პრეტენზიებს ამ ტერიტორიებთან დაკავშირებით. სან-ფრანცისკოში იაპონიამ უარი განაცხადა კუნძულებზე, მაგრამ არა სენკაკუზე. 1972 წლამდე ოკინავა ამერიკელთა ზედამხედველობის ქვეშ იყო და ჩინეთი დუმდა. როდესაც კუნძულის შელფზე ნავთობი აღმოჩნდა, გაჩნდა გაცხოველებული ინტერესი სენკაკუს მიმართ. 1971 წელს აშშ-მ იაპონიასთან ხელი მოაწერა კუნძულ რიუკიუს გადაცემის დოკუმენტს. გადაცემის აქტში სენკაკუც იყო მოხსენებული. აკვატორიის გაკონტროლებას იაპონიის ხომალდები შეუდგნენ. დავა დაიწყო ტაივანის 1971 წლის განცხადების შედეგად. ტაივანმა კუნძულზე პრეტენზია გამოაცხადა. მოგვიანებით პეკინმაც იგივე გაიმეორა. პეკინი და ტაივანი იყენებდნენ ამ საკითხში ისტორიულ და გეოგრაფიულ მიდგომებს, ხოლო იაპონია სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებას. ტოკიო აცხადებს, რომ თავის დროზე არავის ჰქონია პრეტენზია იმაზე, რომ კუნძულები რიუკიუს შემადგენლობაში შედიოდა და იაპონიაც არ იტყვის უარს მათზე. 1972 წელს, როცა იაპონიამ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს სამეგობრო ხელშეკრულებას, გადაწყვიტეს, რომ სენკაკუს საკითხი არ განეხილათ[15]. მაგრამ 1978 წლის პეკინის ინიცირებული ინციდენტის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ დავა გაგრძელდებოდა. 2004 წელს ჩინელმა აქტივისტებმა კუნძულებზე ჩინური დროშის აღმართვა გადაწყვიტეს. იაპონელმა მესაზღვრეებმა ისინი დააპატიმრეს „იაპონიის ტერიტორიაზე უკანონო შეჭრის გამო.“ პეკინმა მაშინვე განაცხადა, რომ კუნძულებზე მას უფლებები გააჩნია და იაპონიის ქმედება აგრესიად მონათლა. ჩინეთის მტკიცებით, კუნძულების პირველაღმომჩენი ჩინეთია, სახელის დამრქმევიც ჩინეთია, ამიტომაც ისინი ჩინეთს ეკუთვნის. იაპონიის მხარე კი ერთ საინტერესო არგუმენტს იშველიებს. მეიძის მმართველობის დროს, 1885 წელს, შეისწავლეს რა სენკაკუს კუნძულები, ვერ აღმოაჩინეს მათზე ცინის დინასტიის მმართველობის კვალი (ამიტომაც იყო, რომ სენკაკუ არ მოიხსენება სიმონოსეკის ხელშეკრულებაში). 1985 წლის 14 იანვარს დააყენეს იაპონიის მმართველობის სიმბოლოები სენკაკუზე. მიმართავს რა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იაპონია აპელირებს საერთაშორისო სამართლის ნორმებით (სან-ფრანცისკოს ხელშეკრულება, იაპონია-აშშ-ის ხელშეკრულება ოკინავის გადაცემის შესახებ, 17.07.1971) და რეალურად მართავს კუნძულებს. 1996 წლიდან კუნძულები არენდით ჰქონდათ კერძო პირებს აღებული. 30 წლით. იაპონიამ შეახსენა ჩინეთს, რომ მათ ჯერ კიდევ 1920 წელს სცნეს სენკაკუს კუნძულებზე იაპონიის სუვერენიტეტი. მათ მხედველობაში ჰქონდათ სამადლობელი წერილი ჩინეთის დიპლომატიური სამსახურიდან, დათარიღებული 20 მაისით. ჩინელი მეთევზეების სენკაკუზე გადარჩენის გამო, პეკინი მადლობას უხდიდა ტოკიოს. ანალიტიკოსები დღესაც არ გამორიცხავენ ძალისმიერი განვითარების სცენარს ჩინეთის მხრიდან და ფიქრობენ, რომ იაპონია არ დაიწყებს ომს ამ კუნძულების გამო. მთელს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ეთნიკურმა ჩინელებმა მოითხოვეს ძალის გამოყენება სენკაკუს დასაბრუნებლად. ჩინეთის ხელისუფლება მზად იყო 1996 წელს გამოეყენებინა სამხედრო ძალა და გადაესროლა „ჯარების ოპერატიული ჯგუფი დიაოიუიდაოში.“[16] ტერიტორიული დავა შეიძლება განახლდეს ნებისმიერ დროს, როცა ამას მიზანშეწონილად ჩათვლის პეკინი. საკითხის მოგვარება და პოზიციათა დაახლოება კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. საზღვაო აკვატორიის საზღვრების დადგენა ჩინეთსა და იაპონიას შორის საერთაშორისო საზღვაო სამართალზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. სენკაკუს ნავთობის შელფის ერთობლივი ძალებით ათვისებაც რეალურია. გაერო-ს კონვენციის მიხედვით განსაკუთრებული ეკონომიური ზონები 200 საზღვაო მილით განისაზღვრება ნაპირიდან. როცა ქვეყნებს შორის მანძილი 400 საზღვაო მილია, მაშინ ხდება ამ ეკონომიური ზონების ურთიერთგადაფარვა. რომ არ წარმოიქმნას კონფლიქტი, საჭიროა მოლაპარაკება. 1999 წელს გამომჟღავნდა, რომ ჩინური ხომალდები დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებენ კუნძულებზე იაპონიის ეკონომიურ ზონაში. იაპონია თანახმა იყო განეხილა ეს პრობლემა ჩინეთთან, მაგრამ პეკინისაგან უარი მიიღო. ტოკიოს კვალიფიცირებით, ჩინეთს

[15] S. 0gata, Normalization with China/Comparative Studi of U.S.and Japanese Processes. University of California, Berkley. Institut of Far Asian Studies, 1998, 113.
[16] 産経新聞. 12.09.1996.

დეფაქტოდ სურდა კუნძულებზე დაემყარებინა სუვერენიტეტი. ასევე არ არის გადაწყვეტილი საზღვაო საზღვრების დერმაკაციის საკითხი. ჩინეთის საზღვაო საზღვარი კონტინენტალური შელფიდან უფრო აღმოსავლეთითაა და 340 საზღვაო მილია სანაპიროდან. იაპონიის საზღვაო საზღვარი ცენტრალურ ხაზზეა და თანაბრადაა დაშორებული კუნძულ ოკინავადან. როცა იაპონიამ კერძო კომპანიას „ტეიკოკუ ოილ-ს“ გადასცა ლიცენზია დაზვერვით სამუშაოებზე აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს შეაფასა როგორც პროვოკაცია და ჩინეთის სუვერენული უფლებების შელახვა. უკვე 2005 წლიდან იაპონიამ შეიმუშავა სენკაკუს კუნძულების დაცვის გეგმა ავიაციის და დასავლეთის არმიის გამოყენებით, რომელიც კიუსიუზეა დისლოცირებული. ვენ ცზი ბაოს ვიზიტის დროს იაპონიაში, 2007 წელს, შეიმუშავეს ასეთი მიდგომა - „შენარჩუნდეს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა მშვიდობის, თანამშრომლობის და მეგობრობის ზონად, ერთობლივად აითვისონ რესურსები და დაამყარონ მომგებიანი ურთიერთობა გამიჯვნამდე და საბოლოო დემილიტაციამდე, მესამე - საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს კონსულტაციები უფრო მაღალ დონეზე.“[17] პერიოდულად ხდება ექცესები, ჩინელი მეთევზეები არღვევენ იაპონიის საზღვარს. სენკაკუს საკითხი ისევ გადაუჭრელია და ძაბავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.

იაპონია ჩინეთის „შეკავების" დოქტრინაში

ტაივანის სრუტეში კრიზისის შემდეგ, როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჩაატარა შთამბეჭდავი საზღვაო-სამხედრო მანევრები, საზოგადოებრივი აზრის ვექტორმა იაპონიაში განიცადა დიდი ცვლილებები, ჩაცხრა ანტიამერიკული გამოსვლების ტალღა ოკინავაზე. 1996 წელს იაპონიამ და აშშ-მა ხელი მოაწერეს უსაფრთხოების შესახებ დეკლარაციას. 1960 წლის დოკუმენტისაგან ეს დეკლარაცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმით, რომ დოკუმენტი განსაზღვრავდა იაპონიისა და ამერიკის თანამშრომლობას აშშს-ის ძალებსა და იაპონიას შორის *მშვიდობიან* დროსა და იაპონიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ასევე განსაკუთრებული გარემოებების დროს იაპონია ვალდებულებას იღებდა აღმოეჩინა ამერიკისათვის ყოველმხრივი დახმარება.

ჩინეთის პოლიტიკური წრეები შეშფოთებას გამოთქვამდნენ რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევისა და იაპონიის მონაწილეობის გამო აშშ-ის სამხედრო გეგმებში. აშშ-იაპონიის ალიანსი ნიშნავდა იაპონიის ინტეგრირებას ამერიკის გლობალურ სტრატერგიაში, რომელსაც წინააღმდეგობა უნდა გაეწია ახალი გამოწვევებისათვის, რომლებიც მათ შორის, ჩინეთიდანაც მოდიოდა. 2015 წელს მხარეებმა მიიღეს საპროგრამო დოკუმენტი „საერთო სტრატეგიული მიზნები“, რომელშიც მთელი რიგი დებულებები უშუალოდ ჩინეთს ეხებოდა. იაპონია, როგორც აშშ-ის სტრატერგიული პარტნიორი, მონაწილეობს ჩინეთის „შეკავების“ პროცესში, და ბუნებრივია, თავადაც დაინტერესებულია ამით. აშშ მიესალმება იაპონიის თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციას ჩვეულებრივ სამხედრო ძალებად, მაგრამ აკონტროლებს იმას, რომ იაპონელებმა არ შექმნან ატომური იარაღი. 2007 წელს გაფორმდა პოლიტიკური სამკუთხედი — ვაშინგტონი-ტოკიო-კანბერა, და მიუხედავად ყველა მტკიცებისა, რომელსაც ფიგურანტებმა მიმართეს, ჩინეთი მაინც დარწმუნებულია, რომ ეს მის შესაზღუდად, შესაჩერებლად შექმნილი ორგანიზაციაა. ამავე წელს იაპონიამ და ავსტრალიამ ხელი მოაწერეს დეკლარაციას უსაფრთხოების შესახებ. „უსაფრთხოების პაქტის“ მიხედვით იაპონია და ავსტრალია აპირებენ შეიმუშავონ ერთიანი ქმედების გეგმა სამშვიდობო და სამაშველო ოპერაციების ჩატარების დროს. მხარეები ვალდებულებას იღებენ გაუზიარონ ერთმანეთს სადაზვერვო მონაცემები. ჩინეთის პროგნოზით, სამკუთხედს ინდოეთიც შეუერთდება „დემოკრატიული ფასეულობების ბაზაზე“. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა საომარი მოქმედებების თეატრში, პეკინის აზრით, მიმართულია არა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ ჩინეთის წინააღმდეგ. სპეციალისტების მტკიცებით, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის

[17] http://www.people.com.cn/31520/5602753.html,

რაკეტების ფრენის სიშორე არაა საკმარისი აშშ-ში სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად, ასევე ვერ მისწვდებიან ისინი ავსტრალიასაც.

ერთის მხრივ, იაპონიას აწუხებს ის, რომ ჩინეთი არ ეწევა გამჭვირვალე და ტრანსპარენტულ პოლიტიკას სამხედრო სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, ჩინეთი შეშფოთებულია იმით, რომ იაპონია ცდილობს საერთაშორისო სტატუსის ამაღლებას. ჩინეთს სურს ისეთი იაპონიის ხილვა, რომელსაც არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს ისტორიული წარსულის გამო, და არა აქვს პოლიტიკური წონა გარდა იმისა, რასაც მას ანიჭებს აშშ-სთან სტრატერგიული პარტნიორობა.

იაპონიის პოლიტიკური სტატუსი არ შეესაბამება იაპონიის ეკონომიურ ძალმოსილებას და ეს წარმოშობს მრავალ წინააღმდეგობას, როგორც იაპონიისათვის, ასევე მთელი რეგიონისათვის. იაპონიას სურს პოლიტიკური სტატუსის ამაღლება და მისი ამგვარი მისწრაფებანი ქმნის პრობლემებს ორმხრივ ურთიერთობებში ჩინეთთან. იაპონიას ერთდროულად სურს საკუთარი საერთაშორისო სტატუსის ამაღლება და ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება, იაპონური თვალსაზრისით, არცერთ ამ პოლიტიკურ მიზანზე უარის თქმა არ შეიძლება, როცა ჩინეთის აზრით, ეს მიზნები შეუთავსებადია.[18]

ჩინეთის პოლიტიკური წრეებისათვის უცხოა კომპრომისული აზროვნება. ძალის დემონსტრირება, სუვერენიტეტის და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის კონცეფცია ის ინსტრუმენტებია, რომლებიც იცავს აგრესიულ აზროვნებას და წარმოადგენს არადემოკრატიული ქვეყნების ხელში სამართლებრივ არგუმენტს. ჩინეთი არ მალავს, რომ მისი მიზანი „მშვიდობიანი განდიდება“ და აღზევებაა და, რა თქმა უნდა, მას აქვს დომინირების სურვილი. პრობლემა იმაში მდგომარეობს (მათ შორის იაპონიისათვის), დაარღვევს თუ არა ჩინეთი ძალთა ბალანსს რეგიონში და გამოიწვევს ეს თუ არა მადესტაბილიზირებელ უთანასწორობას რეგიონში. ამ ჭრილში განიხილავს იაპონია ატომური იარაღის გამოცდას ჩინეთსა და ინდოეთში. ჩინეთი, იაპონიის მტკიცებით, აძლიერებს წყალქვეშა და წყალსზედა საზღვაო ფლოტს, გარკვეულწილად აუმჯობესებს მათ, ყიდულობს ახალ სამხედრო ტექნიკას. პერსონალის მომზადების ხარისხი, მართალია, არ იწვევს აღტაცებას, მაგ., წყალქვეშა ნავ „კილო ეკმ-877“-ის ექსპლოატაცია ვერ ხერხდებოდა დიდი ხნის განმავლობაში ეკიპაჟის მომზადების დაბალი ხარისხის გამო.[19] ჩინეთი იმედოვნებს ესმინცების შეძენას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში პოზიციების გასამაგრებლად და ინდოეთის საჰაერო ძალების საწინააღმდეგოდ. იაპონია შეშფოთებულია იმითაც, რომ ჩინეთს სურს მალაკის სრუტის „მონოპოლიზაცია“. ეს სატრანსპორტო არტერია სტრატერგიულად უმნიშვნელოვანესია იაპონიისათვის, რადგან ნავთობის იმპორტს იაპონია ამ გზით ახორციელებს. ჩინეთი, პაკისტანი, მიანმა, ბანგლადეში აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზრუნველყოფენ საზღვაო გზების უსაფრთხოებას ინდოეთის ოკეანესა და მალაკის სრუტეში. აქედან გამომდინარე, იაპონიასა და ინდოეთს გარკვეული საფუძველი ნამდვილად გააჩნიათ შეშფოთებისათვის. ისინი ცდილობენ საპირწონედ რაიმე შექმნან, ან კოოპერირება გაუკეთონ საკუთარ ძალისხმევას. ჩინეთს არ ანაღვლებს დელისა და ტოკიოს ეკონომიური თანამშრომლობა. მას ადარდებს იაპონიისა და ინდოეთის თანამშრომლობა საშუალო პერსპექტივაში ამერიკასთან ურთიერთზემოქმედების მექანიზმების შექმნის მიზნით, რომელსაც შეუერთდება აშშ, იაპონია, ინდოეთი და ავსტრალია. ჩინეთი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ აშშ-სა და ინდოეთს შორის არსებობს შეთანხმება ატომურ პრობლემებზე.დელი იაპონიას აძლევს საშუალებას შეასუსტოს ჩინეთის გავლენა რეგიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში დელისა და ტოკიოს მოუწევთ გახდნენ „მორიგი“ რეგიონალური სტრუქტურის მონაწილენი, რომელშიც ჩინეთი იქნება ფლაგმანი. თუ ჩამოყალიბდება ალიანსი ტოკიო-დელი, ეს რუსეთსაც შეეხება, რომელიც მიესალმებოდა *ჩინეთი-ინდოეთი, რუსეთის* ალიანსის შექმნას. ინდოეთი ესწრაფის ეკონომიკურ სიმძლავრეს და ამ მიზნით ეძებს

[18] Доклад японского института по изучению международной политики. «Модернизация вооруженных сил Китая и японо-китайские отношения»//Семин А.В. Японо-китайские отношения: состояние, проблемы и тенденции (конец XX- начало XXI века). М., 2008, 235.

[19] იქვე.

პარტნიორებს. იგი ფსონს ისეთ მაღალტექნოლოგიურ ქვეყანაზე დებს, როგორიც იაპონიაა, რადგან მისი ცნობისწადილის დაკმაყოფილება ნოუ ჰაუთი მხოლოდ იაპონიას ძალუძს. თუ დელი მზადაა იმისათვის, რომ „გააციოს“ ურთიერთობა რუსეთთან და უარი თქვას „არშეერთების“ დოქტრინაზე, ასეთი ალიანსის შექმნა ძალზედ რეალურია აშშ-თან ერთად ან აშშ-ს გარეშე, თუ გავითვალისწინებთ დელის პოტენციალს — ფლოტს, საჰაერო ძალებს, არმიას. ტოკიო ყურადღებით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ გადაიქცა ჩინეთი სახმელეთო სახელმწიფოდან საზღვაო ქვეყანად და ითვლის რისკებს, არა მხოლოდ თავისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვისაც. ჩინეთი ესწრაფის სამხრეთ-ჩინეთის ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვას და მონოპოლიზაციას, პოტენციაში ამან შეიძლება გაამწვავოს სიტუაცია *სპარტლის* და *პარასელის* კუნძულების ირგვლივ. პეკინი აუმჯობესებს საკუთარი ფლოტისა და საჰაერო ძალების ოპერატიულობას, რათა შესძლოს ეფექტური მოქმედება დიდ მანძილებზე. 2008 წელს ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა ჩი ხაოტიანმა ტოკიოში გამოსვლისას განაცხადა, რომ ჩინეთი დაიცავს საკუთარი ნაციონალური ტერიტორიის სუვერენიტეტს, საჰაერო სივრცესა და ტერიტორიულ წყლებს, თავის საზღვაო ინტერესებს და იზრუნებს ქვეყნის უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობაზე. ტოკიო სამართლიანად ფიქრობს, რომ როცა პეკინი თავის საზღვაო ინტერესებზე ლაპარაკობს, ტაივანს გულისხმობს. წვრთნები, რომელსაც პეკინი ატარებს ფლოტის გაუმჯობესების და ოკეანეში ნებისმიერ ამინდში ეფექტური მოქმედების მიზნით, იაპონიის მიერ აღიქმება, როგორც გაკვეთილი, რომელიც პეკინმა ტაივანის სრუტის კრიზისიდან გამოიტანა. მისწრაფება, რომ პეკინი თავდაცვითი სისტემიდან გადავიდეს შეტევითი ძალების განვითარებაზე, ძალზე აფიქრებს იაპონიას. თავის მხრივ, პეკინი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ახალი საზღვაო სამართლის მეშვეობით, რომელიც იცავს იაპონიის ინტერესებს განსაკუთრებულ ეკონომიურ ზონაში, იაპონია გახდა დიდი საზღვაო სახელმწიფო. მცირეა მხოლოდ მისი სახმელეთო ტერიტორია — 370 ათას კვ. კილომეტრი, საზღვაო ზონის სუვერენიტეტთან[20] ერთად კი თითქმის 4,5 მლნ. კვ. კილომეტრია და მეექვსე ადგილზეა მსოფლიოში - ეს კი , რა თქმა უნდა, იწვევს პეკინის შეშფოთებას.

პეკინის დიპლომატიური ძალისხმევა ვერ ანეიტრალებს „პოტენციურ საფრთხეს“, რომელიც მოდის ჩინეთიდან. ჩინეთის წყალქვეშა ხომალდები სისტემატურად არღვევდნენ იაპონიის აკვატორიიას. მათ ეს პირველად მხოლოდ 2008 წელს აღიარეს, როდესაც პეკინს წარუდგინეს აშშ-ს რადარებისა და რადიოლოკაციური სისტემების მონაცემები. მხოლოდ ამის შემდეგ მოიხადა ბოდიში პეკინმა. ტოკიო აანალიზებს რისკებს და წუხს იმაზე, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს „მრავალმხრივი დანიშნულება აქვთ და ძალზედ რთულია იმის დადგენა, თუ რას გამოიყენებენ სამხედრო სფეროში და რას – სამოქალაქოში.“[21]

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ჩინეთის მიზანია „მიიღოს საომარი ტექნოლოგიები ეკონომიური გაცვლის ეგიდით.“[22] იაპონია ყურადღებით ეკიდება საკუთარ უსაფრთხოებას და როცა ვინმეს ეხმარება და აწვდის პროდუქციას, ყოველთვის აანალიზებს, თუ როგორ შეიძლება მიწოდებული ტექნოლოგიების გამოყენება. იაპონია დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთ აზიაში მაინც შენარჩუნებულია ომის საფრთხე, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში. მისი ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა ცივი ომის დამთავრებასთან ერთად. იაპონიისათვის ჩინეთიდან ომის მუქარა მოდის. პეკინი დიდ გავლენას ახდენს ვიეტნამზე, რომელთანაც აქვს დიდი სახმელეთო საზღვარი, ასევე ჩინეთს ტერიტორიული დავა აქვს მეზობლებთან. იმ შემთხვევაში „თუ ჩინეთში დაისადგურებს ეკონომიური და პოლიტიკური ქაოსი, იაპონია აუცილებლად შეეჯახება უკონტროლო ატომური ტექნოლოგიების პრობლემას დ სპეციალისტების მიგრაციას შესაბამისი კვალიფიკაციით.“[23]

იაპონიას ეეჭვება, რომ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ასოციაციის ქვეყნებმა საჭიროების შემთხვევაში ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ პეკინს და თავიდან აიცილონ კონფლიქტი

[20] www.un.org/Depts/los/conventionagreements/texts/unclos/unclosr.pdf

[21] Доклад японского института по изучению международной политики..., 235.

[22] იქვე.

[23] Доклад японского института по изучению международной политики..., 245-247.

ტაივანისა და სენკაკუს კუნძულების გამო. ამიტომაც იაპონია ცდილობს შეამციროს ჩინეთის გავლენა და ალიანსში შევიდეს დემოკრატიულ ქვეყნებთან — ინდოეთთან, ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან. თუ ეს გრძელვდიანი მოლაპარაკებები ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან გაგრძელდება, იაპონია უნდა დათანხმდეს ავსტრალიის მოთხოვნას და გააუქმოს საბაჟო გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

იაპონია და ჩინეთი კონკურენტები არიან რეგიონში გავლენის სფეროების გამოც. პეკინს უდავო უპირატესობა გააჩნია ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რომელსაც ის ახორციელებს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სტრუქტურების მეშვეობით. ორმხრივ ურთიერთობებში უპირატესობას ანიჭებს ყაზახეთს, რომელიც მას რეგიონის ლიდერად მიაჩნია. ყაზახეთში ჩინეთი ახორციელებს გრძელვადიან პროგრამას „ერთი გზა, ერთი ქამარი.'' პეკინს აინტერესებს შუა აზიის ენერგორესურსები და ცდილობს ამ ბაზარზე დამკვიდრებას. იაპონია არ ფიგურირებს რეგიონის ეკონომიურ ცხოვრებაში და დიპლომატიურადაც ვერაა ისეთი აქტიური,როგორც ჩინეთი. მაგრამ არსებობს „დეკლარაცია აბრეშუმის გზაზე“ (1997) ცენტრალური აზიის გავლით და დიალოგის მექანიზმი იაპონიასთან ღიაა. ჩინეთი მიზანმიმართულია და ინიციატივას ფლობს, ხოლო იაპონია რეაგირებად დიპლომატიის სტილს მიმართავს. ასიმეტრიულობა სახეზეა. იაპონია „ნიქსონის შოკისა“ და ბილ კლინტონის „სამი არას“ შემდეგ უაღრესად ფრთხილად აანალიზებს აშშ-ს აქცენტებს, რადგან იაპონიას სჭირდება გარანტიები იმისა, რომ აშშ სრულად გაითვალისწინებს იაპონიის ინტერესებს. იაპონია მწვავედ რეაგირებდა იმაზე, რომ შუამავლის როლს კორეის სახალხო რესპუბლიკის ატომური დემონტაჟის საქმეში ჩინეთი ასრულებდა აშშ-ს თხოვნით. იაპონიამ დიდი შრომა გასწია კიმ ირ სენის (1912-1994) დროს ჩრდილოეთ კორეის აგენტების მიერ გატაცებული (80 კაცამდე)[24] თანამემამულეების მოსაძებნად. ტოკიო შიშობდა, რომ ახალი რეალიები ამ პროცესს შეანელებდა. პეკინმა განაცხადა, რომ იკისრებდა შუამავლის როლს. 2007 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვენ ცზი ბაომ ტოკიოში ვიზიტის დროს გააკეთა განცხადება, რომ ჩინური მხარე გამოხატავს თანაგრძნობას და გაგებით ეკიდება იაპონიის წუხილს გატაცებული თანამემამულეების გამო და იმედოვნებს საკითხის უსწრაფესად გადაჭრას და ძვრებს იაპონია-ჩრდილო კორეის ურთიერთობებში. პეკინი მზადაა იაპონიას აღმოუჩინოს დახმარება პრობლემის გადაჭრაში[25] (იაპონია-ჩინეთის ერთობლივი კომუნიკე პრესისათვის, 11.04.2007). ეს საკითხი უაღრესად მტკივნეულია ტოკიოსათვის, რადგან იაპონია ეჭვობს, რომ პეკინს სურდა და სურს იაპონიის ჩამოშორება მოლაპარაკების პროცესიდან. რაც შეეხება კორეის გაერთიანებას, ეს არც ჩინეთს აწყობს და არც იაპონიას. ჩრდილო კორეის პასუხად იაპონიამ შეიძლება საჰაერო თავდაცვითი სისტემები შექმნას და მხოლოდ აშშ-ს შეუძლია მისი „გადარწმუნება“. პეკინის სამხედრო პოლიტიკის არატრანსპარენტულობა აიძულებს იაპონიას უფრო მეტად იფიქროს საკუთარ უსაფრთხოებაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში იგი უპირატესობას ორმხრივ ურთიერთობებს ანიჭებს, მხარს უჭერს აშშ-ს ყოფნას რეგიონში და კოოპერაციას ამერიკის უსაფრთხოების სტრუქტურებთან. იაპონია დაინტერესებულია იაპონია აშშ-ს კავშირით და იგი მიაჩნია იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესების გარანტად.

ტოკიო დარწმუნებულია, რომ აშშ დიდხანს დარჩება ჩათრეული ტაივანის ამბებში. ამას მოწმობს სამხედრო ხომალდების გადაცემა ტაივანისათვის დონალდ ტრამპის მმართველობის პირველივე წელს (2016) და ნენსი პილოსის ვიზიტი ტაივანში (2022). იაპონიაში არ ფიქრობენ, რომ ბილ კლინტონის „სამი არა“ ჩინეთის დიპლომატიის გამარჯვებაა, თუმცა ასეთი შეფასებები ბევრი ქვეყნიდან გაისმის. ტოკიო ფიქრობს, რომ ეს პეკინისათვის სახის შენარჩუნების მცდელელობაა. იაპონია თავს აღიქვამს შტატების ყველაზე დიდ მოკავშირედ და ამის გათვალისწინებით აგებს ურთიერთობას ჩინეთთან. იაპონიას იმ შემთხვევისაგან იზღვევს თავს, თუ იგი „მეგობრული აუტსაიდერის“ როლში აღმოჩნდება. იგი გააგრძელებს ურთიერთობას აშშ-

[24] ჩრდილოეთ კორეამ მხოლოდ 2002 წელს აღიარა ეს ფაქტი.

[25] http://www.people.com.cn/31520/5602753.html,

სთან და ჩინეთთანაც. თუ ჩინეთი შეიცვლება და იქ გაბატონდება უფრო კომპრომისული აზროვნება, თაობები შეიცვლება, მასიურად დაბრუნდებიან დასავლეთიდან სტუდენტები და ჩინეთი იაპონიაში დაინახავს თანასწორ პარტნიორს, იაპონელი ექსპერტების აზრით, შესაძლებელი გახდება უფრო პროდუქტიული ურთიერთობების დამყარება. მანამდე ტოკიოს მოუწევს რთული დიალოგის წარმოება პეკინთან. არსებობს სხვა გზაც. თუ იაპონია უარს იტყვის ტაივანის დაცვაზე აშშ-სთან ერთად, ამას მხოლოდ ხანმოკლე დათბობა მოჰყვება ორმხრივ ურთიერთობებში,რადგან ჩინეთს კიდევ ბევრი „სურვილი“ აქვს, რომელთაც ტოკიო ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად დაუჭერს ტოკიო მხარს აშშ-ს მისწრაფებებს ჩინეთის „შეკავების“ საქმეში, და რამდენს გადაიხდის არსებულ რისკებში. ჩინელ ექსპერტთა აზრით, იაპონია იმედოვნებს, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის არ იქნება მწვავე კონფლიქტი. ჩინური ელიტისათვის ასევე არაა ნათელი იაპონიის შემდგომი განვითარების პერსპექტივა. ჩინეთი იმედოვნებს, რომ იაპონია შეურიგდება ჩინეთის ლიდერობას და იპოვის თავის ადგილს რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში ჩინეთის მიერ შეთავაზებული პირობებით. „იაპონიას შეუძლია მიბაძოს დიდი ბრიტანეთის მაგალითს და აირჩიოს ნაწილობრივი მონაწილეობის გზა ამ რეგიონალიზაციაში, მას შეუძლია გაიზიაროს ჩინეთის მიმართ კოოპერატიული მიდგომა“[26] - პროგნოზირებენ ჩინელი პოლიტოლოგები. რაც შეეხება ევროკავშირს, თითქმის გამორიცხულია იაპონიასთან კონფლიქტი, რადგან „დემოკრატიები დემოკრატიებთან არ ომობენ“. ევროკავშირისაგან განსხვავებით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებობს კონფლიქტების საშიშროება. ის გაცილებით რთული რეგიონია, ვიდრე ევროკავშირი. იაპონია კი ვერ შეასრულებს დიდი ბრიტანეთის როლს, რომელმაც დატოვა ევროკავშირი. რეგიონში კონფლიქტების მაღალი საშიშროებაა. რა მოხდება თუ ჩინეთი დაიწყებს აშკარა დომინირებას რეგიონში და სისტემა გახდება სინოცენტრული, რა ინსტრუმენტები გააჩნია ჩინეთს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის? როგორია ნდობის ფაქტორი ჩინეთისადმი? გაუწევს თუ არა იგი ანგარიშს რეგიონის ქვეყნების ნაციონალურ ინტერესებს, როცა ეს რთულია დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც კი, რომელთაც ახასიათებთ კომპრომისული აზროვნება? პასუხი, ალბათ, უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი.

ჩინური ელიტა აღფრთოვანებულია ეკონომიკის სწრაფი ზრდით, მიუხედავად გარკვეული ჩავარდნებისა, იგი მაინც ინარჩუნებს ზრდის მაჩვენებლებს. პეკინის აზრით კი, იაპონიაში დიდი ხანია ეკონომიური ვარდნაა და მომავალში ჩინეთი ბევრად გაუსწრებს იაპონიას. ჩინური ბაზარი ღიაა და ისრუტავს საქონელსა და ინვესტიციებს. ჩინეთი ინვესტიციებს დებს ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში და გამოაქვს ბაზარზე ტექნიკური, ხშირად მაღალტექნოლოგიური პროდუქციაც. და მაინც, ასეთ აღტაცებულ ოპტიმიზმს სერიოზული ანალიზი სჭირდება. რა მოხდება თუ ეკონომიური კონიუქტურა შეიცვლება მსოფლიო მასშტაბით, ან ჩინეთში ეთნიკური კონფლიქტები გამწვავდება? თუ პეკინი ძალას გამოიყენებს ტაივანის წინააღმდეგ? თუ ინვესტორები გავლენ ჩინეთის ბაზრიდან და გადაანაწილებენ მას სხვა ქვეყნებში? მზადაა თუ არა ნაციონალური კაპიტალი უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები თუნდაც აშშ-სთან სავაჭრო ომების დროს? ჩინეთის წინაშე, რა თქმა უნდა, აღარ დგას სახელმწიფოს ჩამოშლის პრობლემა, როგორც საუკუნის დასაწყისში, და მთავარი საშიშროება ჩინეთისათვის იაპონიიდან კი არ მოდის, არამედ საკუთარი ქვეყნიდან. იაპონიის სწრაფვა სტატუსის ამაღლებისთვის აწყდება გაეროს უშიშროების საბჭოსგან წინააღმდეგობას ჩინეთის სახით. ,,ექსპერტთა ჯგუფ ‘ოძავას კომიტეტის’ აზრით, გაერო-ს ქარტიაში აქამდე არსებობს დებულება „მტრული სახელმწიფოს შესახებ“, რომელიც საშუალებას იძლევა იაპონიის დისკრიმინაციის. პირველი, რაც უნდა გააკეთოს იაპონიამ თავისი პოზიციის გამყარებისათვის გაერო-ში, ეს არის პროცესის ინიცირება გაეროს რეფორმირების მიზნით, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა მიმხრობა, რათა შესაძლებელი გახდეს ამ დებულების გაუქმება.“[27] უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიდან იაპონიას მხარს უჭერს მხოლოდ აშშ, მაგრამ ვეტოს უფლების გარეშე, რუსეთი თითქოსდა მხარს

[26] Chinese Journal of International Studies. 2006.№1, 33.

[27] Доклад «Роль Японии в международном сообществе», подготовленный экспертной группой ЛДП. («Комитет Одзава»). 1991 г./Бунгэй синдзю. Апрель 1992,132-145.

უჭერდა იაპონიის სტატუსის ამაღლებას. შემდეგ გადაიფიქრა, რადგან იაპონიამ უარი არ თქვა ტერიტორიულ პრეტანზიებზე რუსეთის მიმართ. ჩინეთი გამოიყენებს ვეტოს უფლებას და ბლოკირებას უკეთებს და გაუკეთებს იაპონიის ნებისმიერ მცდელობას, რადგან პეკინი თვლის, რომ უნდა დასრულდეს „მეგობრული ვიზიტების ავადმყოფობა, რადგან დაძაბულობა ორმხრივ ურთიერთობებში იაპონიისა და აშშ-ს ბრალია.“[28] საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩინეთი არ შეიცვლის დამოკიდებულებას იაპონიის მიმართ.

ერთპარტიული მმართველობის სისტემა გარკვეულწილად სტაბილურობას ანიჭებს ჩინეთს. ტოკიოს საგარეო პოლიტიკური კურსიც მდგრადია და განსაზღვრული, რადგან იაპონიის პოლიტიკურ ელიტაში არსებობს კონსენსუსი, რომ ეკონომიური ძალმოსილების შესაფერისი პოლიტიკური სტატუსი მიიღონ.

რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით, პეკინი იაპონიას თვლის მთავარ მოწინააღმდეგედ. აშშ-ის ფუდანის უნივერსიტეტის ანალიტიკოსის, ლიანხე ცზაბაო-ს აზრით, „იდეალურ სიტუაციაში ჩინეთს შეეძლო ეღიარებინა იაპონია ზესახელმწიფოდ ,,ჩინეთის მშვიდობიანი აღზევების“ მხარდაჭერის სანაცვლოდ, ამასთანავე ორივე ქვეყანას გაეგრძელებინა ურთიერთობა აშშ-სთან ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში. ჩინეთს შეეძლო იაპონიასთან მიმართებაში გამოეყენებინა „ჩათრევის სტრატერგია“, რომელსაც აშშ მიმართავს ჩინეთთან დაკავშირებით და ჩაერთოთ იაპონია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში იაპონიისათვის მომგებიანი პირობებით.“[29] ამ პარადიგმის რეალიზაციაში მთავარია „გაირკვეს“ შტატების პოზიცია არა მხოლოდ ტაივანთან მიმართებაში, არამედ აპირებენ თუ არა ისინი დარჩენას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში? თუ აშშ აპირებს დარჩეს ტრანსატლანტიკურ ზესახელმწიფოდ, მაშინ მან ალიანსში სხვა რეგიონალური მოთამაშეებიც უნდა შემოიყვანოს. ჩინეთს ამ შემთხვევაში მოუწევს დაივიწყოს დომინირების დოქტრინა. იაპონიას კი აქცენტების სხვაგვარად დასმა მოუწევს. ტოკიოს როლი განისაზღვრება იმით, რომ დიპლომატიური ძალისხმევა მიმართოს ძალთა ბალანსის დამყარებისაკენ იაპონიასა და ჩინეთს შორის.

უდავოა, რომ იაპონიამ უნდა შეინარჩუნოს იაპონია-აშშ-ს ალიანსი და პარალელურად აწარმოოს სტრატერგული დიალოგი ჩინეთთან, რომ ამ გზით შეძლოს წესრიგის ტრანსფორმაცია რეგიონში[30]. ხოლო თუ ჩინეთი გადაწყვეტს ტაივანში ძალის გამოყენებას და აშშ და იაპონია აღმოჩნდებიან ომში ჩათრეულები, ყველაფერი იქნება დამოკიდებული ომის შედეგებზე.

---

[28] www.zaobao.com

[29] Доклад «Роль Японии в международном сообществе», подготовленный экспертной группой ЛДП. («Комитет Одзава»). 1991 г./Бунгэй синдзю. Апрель 1992, 132-145.

[30] The Daily Yomiuri, 17.06.2007.

წყაროები - primary sources:

1. *Asia Times*. 24.02.2005.
2. *Chinese Journal of International Studies*. 2006.№1
3. *The Daily Yomiuri*. 17.06.2007.
4. *Treaty of San Francisco 1951*. ttps://rhgavmf.ru
5. www.un.org/Depts/los/conventionagreements/texts/unclos/unclosr.pdf
6. www.zaobao.com
7. Yoshidas Letter to Dulles. Text of Letter from Prime Minister Shigeru Yoshida to Ambassador Jon Foster Dulles, dated December24,1951, relesad to press January, 16.1952. *Far Eastern Survey* ,1952, 21(4).
8. Доклад «Роль Японии в международном сообществе», подготовленный экспертной группой ЛДП. («Комитет Одзава»). 1991 г./*Бунгэй синдзю*. Апрель 1992.
9. *Правда*. 10.10.1949.
10. Доклад японского института по изучению международной политики. «Модернизация вооруженных сил Китая и японо-китайские отношения» / Семин А.В. *Японо-китайские отношения: состояние, проблемы и тенденции (конец XX- начало XXI века)*. М.,2008.
11. იაპონია-ჩინეთის ერთობლივი კომუნიკე პრესისათვის (ტოკიო.11 აპრილი 2007წ.)// http://www.people.com.cn/31520/5602753.html,
12. 産経新聞 12.09.1996.

ბიბლიოგრაფია - Bibliography:

1. Lobell, S.E., Ripsman, N.M. Taliaferro, J.W. (eds). *Neoclassical Realism, the State, and the Foreign Policy*. Cambridge University Press, 2009.
2. Rous, G. Neoclassical realism and Theories of Foreign Policy. *World Politics* , Vol..51 №1. 1998.
3. 0gata S. Normalization with China. *Comparative Studies of U.S. and Japanese Processes*. University of California, Berkley. Institut of fast Asian Studies, 1998.
4. Кунадзе, Г.Ф. Япония и Китай бремя: «особых отношений». *Японский калейдоскоп*. М., 2006.
5. Кутаков, Л.Н. *Внешняя политика и дипломатия Японии*. М.: И-во Международные отношения. 1964.
6. Мак-Клейн, Дж. Л. *Япония от Сёгуната Токугавы - в XXI в век.* М.: АСТ, Астрель, 2006.
7. Нелидовб В.В. «Китайский шок Никсона» в зеркале японской внутренней политики. *Вестник МГИМО*, 2019б №12(6), 61-77.
8. Семин, А.В. *Японо-китайские отношения: состояние, проблемы и тенденции (конец XX- начало XXI века)*. М.: Институт Дальнего Востока РАН. 2008.